

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ვახტანგ ქუჩულორია
თანამდებობის დასახელება- ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება _ „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“
კომისი(ებ)ის დასახელება - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების
კომისია; სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)-N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი 2014 წლის 14.07 -დან 2015 წლის 20 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 22

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 33
კომისიის სხდომებზე დასწრება _ 29

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 15
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -15

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
ბ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“;
გ) „ლეიკემიის ქრონიკული ფორმით დაავადებულთა პროგრამების შესახებ“;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

ა) ქ.წალენჯიხის ცენტრში უტუ მიქავას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის პრივატიზაცია

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 15 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა
რაოდენობა - 400

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ა). ქ. წალენჯიხა - სასარიოს უბანში წყლის სისტემის მოწყობა.
ბ) ქ. წალენჯიხა სოხუმის ქუჩის მოასფალტება და წყლის სისტემის დაქსელება.
გ) ცენტრალური ბაზრის ტერიტორიის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა.

**8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის,
დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

ა) ქ. წალენჯიხა, სოხუმის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა.
ბ) ქ. წალენჯიხა, სოხუმის და მეუნარგის ქუჩაზე ხიდის მშენებლობა.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წარმართავ საქართველოს**

კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ დაფუძნდა 2014 წლის 24 ივლისს, ფრაქციის შემადგენლობა განისაზღვრა 3 წევრით.

ფრაქციის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 15 სხდომა ფრაქციამ განიხილა საკითხები და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს.

აქტიურად ვმონაწილეობ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების მუშაობაში. დავესწარი კომისიების მიერ ორგანიზებული 33 სხდომიდან 29 სხდომას.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 სხდომის მომზადებასა და მუშაობაში, რომლებზეც მიღებულ იქნა 121 განკარგულება და 94 დადგენილება.

შევსების თარიღი _ 28.10.2015 წ.

წარდგენის თარიღი - 29.10.2015წ

ხელის მოწერა

